პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტური განათლება

27 აგვისტო, 1937 წ. № 80 (380) ფასი 10 კაპ.

სსსრ განათლების სახალხო კომისარიატის, თბილისის განათლების განყოფილების, დაწყებითი და საშუალო სკოლების მუშაკთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის და უმაღლეს სკოლებისა და სკოლამდელთა აღზრდის მუშაკთა კავშირების ცენტრალურ გამგეობათა ორგანო.

ვიცოდეთ სსრ კავშირის ხალხთა ისტორია

მალე ფართოდ გაიღება ჩვენი სკოლების კარები და ტალღასავით მოაწყდება ჩვენი მხიარული, ჯანსაღი, დასვენებული, ახალ ძალღონემოკრეფილი სასკოლო ახალგაზრდობა. მას მოელის ჩვენი პარტიისა და მთავრობის ძვირფასი საჩუქარი — ამ სასწავლო წელს სკოლა მიიღებს სსრ კავშირის ისტორიის ახალ სახელმძღვანელოს.

ეს არის სახელმძღვანელო საშუალო სკოლის მე-3 და მე-4 კლასებისათვის. მაგრამ მისი მნიშვნელობა უფრო ფართოა. მას ინტერესით წაიკითხავს მთელი მოსწავლე ახალგაზრდობა. მას შეისწავლის ისტორიის ყველა მასწავლებელი. ამ სახელმძღვანელოთი იწყება ფართო და ნაყოფიერი შესწავლა და სწავლება ერთერთი უმნიშვნელოვანესი მეცნიერებისა საბჭოთა მოქალაქის საერთო განათლებისა და პოლიტიკური აღზრდის სისტემაში — ისტორიის მეცნიერებისა.

თავისი შესანიშნავი სამშობლოს ისტორიის ცოდნა განუყრელად დაკავშირებულია საბჭოთა პატრიოტიზმთან, იმ ქვეყნის მხურვალე სიყვარულის გრძნობასთან, რომელიც, როგორც შუქურა, უნათებს მშრომელი, თავისუფლებისათვის მებრძოლი კაცობრიობის მთელ სამყაროს.

სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება შემთხვევითი როდია იმ ქვეყანაში, რომელიც ოდესღაც ითვლებოდა ყველაზე ჩამორჩენილ ქვეყნად ევროპაში. ამ გამარჯვებამ დააგვირგვინა მთელი წყება გლეხთა ომებისა, პროლეტარიატის ხანგრძლივი და შეუპოვარი ბრძოლა, ეს ბრძოლა განწირული იყო დამარცხებისათვის, სანამ მუშათა კლასმა არ შექმნა თავისი ბოლშევიკური პარტია, სანამ არ ჩამოყალიბდა მუშათა კლასისა და გლეხობის მტკიცე, ურყევი კავშირი. მხოლოდ წარსულის ასპექტში მთელი თავისი სიდიადით წარმოგვიდგება ჩვენი სახელოვანი აწმყო. დიდი სოციალისტური რევოლუცია მოახდინეს შესანიშნავმა ხალხებმა, რომლებმაც თავისი ცხოვრების წარსულ საუკუნეებშიაც გვიჩვენეს თავისი ნაციონალური დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ნებისყოფა, ყველა ექსპლოატატორთა წინააღმდეგ ბრძოლის ნებისყოფა. რუსეთის კულტურის უმაღლესი მიღწევა — ლენინიზმი გახდა სსრ კავშირის ყველა ხალხის კუთვნილებად. სსრ კავშირის ისტორია თვალწინ გვიშლის მეფეებთან და ბოიარებთან, მემამულეებთან და კაპიტალისტებთან და უცხოელ დამპყრობლებთან რუს, უკრაინელ, ქართველ, ბელორუს და სხვა ხალხთა ბრძოლის საინტერესო, წარმტაც სურათებს.

ბოლშევიკების პარტია უდიდეს მნიშვნელობას აძლევს ისტორიას საბჭოთა მოქალაქის, თავისი სამშობლოსათვის მებრძოლის, სოციალიზმის მშენებლის პოლიტიკურ აღზრდაში. სამი წლის წინათ, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსი და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1934 წლის 16 მაისის ცნობილ დადგენილებაში. რომელიც გამოქვეყნდა ამხანაგ სტალინისა და ამხანაგ მოლოტოვის ხელმოწერით. აღნიშნული იყო ისტორიის სწავლების არადამაკმაყოფილებელი დაყენება სკოლებში. როგორც სახელმძღვანელოების, ისე სწავლების ძირითად ნაკლს წარმოადგენს მათი განყენებული, სქემატური ხასიათი. ნამდვილი მეცნიერული ისტორია შეცვლილია ვულგარული „სოციოლოგიით".

პარტიამ და მთავრობამ მოითხოვეს, რომ ისტორიის შესწავლას სკოლაში გაემდიდრებინა ჩვენი ახალგაზრდობა ფაქტებისა და ამბების ცოდნით მათი ქრონოლოგიური თანმიმდევრობით, ისტორიულ მოღვაწეთა დახასიათებით. ისტორიის სწავლება უნდა ხასიათდებოდეს მისაწვდომობით, თვალსაჩინოებით, კონკრეტულობით. გადმოცემის ფორმა უნდა იყოს ცოცხალი, სახალისო. სწორედ ასე, ეცნობიან რა კონკრეტულ ისტორიულ მასალას, მოწაფეენი უნდა უდგებოდნენ ისტორიის მარქსისტულ გაგებას.

ამ ნათელი და ზუსტი მოთხოვნების დაუყოვნებლივ შესრულება ვერ მოხერხდა. ისტორიის ასეთი სწავლების, ასეთი სახელმძღვანელოების შექმნის გზაზე მძიმე და მკვდარ ტვირთად იდო ანტიისტორიული, ანტიბოლშევიკური, ლიკვიდატორული ტრადიცია, შექმნილი პოკროვსკის „სკოლის" მიერ. იგი არსებითად აუქმებდა ისტორიას, ცვლიდა მას ისტორიად საზოგადოებრივ - ეკონომიური ფორმაციების შესახებ, აცლიდა მას მთელ მის მრავალფეროვან, ცოცხალ, პოლიტიკურ შინაარსს

ამხანაგების სტალინის, ჟდანოვისა და კიროვის მიერ 1936 წლის 26 იანვარს გამოქვეყნებულმა შენიშვნებმა „სსრ კავშირის ისტორიის" და „ახალი ისტორიის" ახალ სახელმძღვანელოთა კონსპექტების გამო გამოამჟღავნეს პოკროვსკის ანტიისტორიული „სკოლის" მავნე როლი. ამ შენიშვნებმა, რომლებიც გახდა ისტორიულ ნიშანსვეტად საბჭოთა საისტორიო მეცნიერებაში, პირდაპირი და ნათელი მითითებანი მისცა სახელმძღვანელოების შემდგენლებს და ისტორიკოსებს.

ამხანაგები სტალინი, ჟდანოვი და კიროვი სწერდნენ: „ჩვენ გვესაჭიროება სსრ კავშირის ისეთი სახელმძღვანელო, სადაც ველიკოროსიის ისტორია არ იყოს მოწყვეტილი სსრ კავშირის სხვა ხალხთა ისტორიას — ეს ერთი, — და, მეორე, სადაც სსრ კავშირის ხალხთა ისტორია არ იყოს მოწყვეტილი საერთო - ევროპულ ისტორიას და, საზოგადოდ, მსოფლიო ისტორიას".

1936 წლის 3 მარტს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინეს მოეწყოთ კონკურსი სსრ კავშირის ისტორიის საუკეთესო სახელმძღვანელოზე საშუალო სკოლის მესამე და მეოთხე კლასებისათვის კონკურსის პირობეში მოითხოვდნენ: „სახელმძღვანელო უნდა იყოს კონკრეტული და ისტორიულად სიმართლის შეტყველი. ამასთან ერთად მისი გადმოცემა უნდა იყოს მკაფიო, საინტერესო, მხატვრული და სავსებით მისაწვდომი აღნიშნული ასაკის მოწაფეთათვის".

პარტიისა და მთავრობის დადგენილებანი, ამხანაგ სტალინის მითითებანი, კონკურსის ორგანიზაცია — ყველაფერი ეს გვეუბნება იმ უდიდეს მნიშვნელობაზე, რომელსაც ცენტრალური კომიტეტი და მთავრობა აძლევენ სსრ კავშირის ისტორიის სწავლებას სკოლაში. ისტორიის ძირითადი ფაქტებისა და ამბების უცოდინარად არ შეიძლება იყოს ნამდვილი მარქსისტული განათლება და კომუნისტური აღზრდა. სკოლამ საბჭოთა ახალგაზრდობას უნდა მისცეს ის გონებრივი ავლადიდება, რომლითაც მას შეუძლია თავის პიროვნებაში აღზარდოს ყველა თვისებანი, რომლებიც საჭიროა შეგნებული საბჭოთა მოქალაქისათვის, პროლეტარული რევოლუციონერისათვის, სოციალიზმის მშენებელისათვის.

საშუალო სკოლის მე-3 და მე-4 კლასებისათვის სსრ კავშირის ისტორიის საუკეთესო სახელმძღვანელოზე მთავრობის საკონკურსო კომისიის ჟიურის დადგენილება, რომელსაც დღეს ვაქვეყნებთ, გვეუბნება იმას, რომ ისტორიულ მეცნიერების ფრონტზე მცირე გამარჯვება როდია მიღწეული. ანტილენინური „თეორიების" განადგურებამ ნაყოფი გამოიღო. ამხანაგ სტალინის მითითებებმა ცხოველი გამოხმაურება ჰპოვეს საბჭოთა ისტორიკოსებს შორის. მარქსის, ენგელსის, ლენინისა და სტალინის ნაწარმოებებიდან ისტორიკოსებმა ამოიღეს დიდძალი ძვირფასი მასალა, განზოგადებანი, აზრები. საკონკურსოდ წარმოდგენილ სახელმძღვანელოებში, ნაცვლად განყენებული სოციოლოგიური სქემებისა, — მიუხედავად ყველა მათი ნაკლისა, — დაცულია ისტორიულ-ქრონოლოგიური თანმიმდევრობა ისტორიული ამბების გადმოცემაში, მოცემულია უმნიშვნელოვანეს ისტორიულ მოვლენათა აღწერა, მოცემულია ძირითადი ქრონოლოგიური თარიღების ჩამოთვლა და ისტორიულ მოღვაწეთა დახასიათება.

მთავრობის კომისიამ მოიწონა „სსრ კავშირის ისტორიის მოკლე კურსი" პროფესორ ა. ვ. შესტაკოვის რედაქციით და რეკომენდირებულია იგი მე-3 და მე-4 კლასების სახელმძღვანელოდ. ამრიგად ჩვენმა სკოლამ მიიღო სსრ კავშირის ისტორიის ნამდვილი მარქსისტული სახელმძღვანელო; იგი ძირითადად აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რომლებიც ჩვენმა პარტიამ და მთავრობამ წაუყენეს ისტორიის სწავლებას. ამით იწყება ახალი ფურცელი საბჭოთა სკოლის ისტორიაში, რომელიც ახლა იღებს მტკიცე და საიმედო სახელმძღვანელოს მომავალი საბჭოთა მოქალაქის პოლიტიკური აღზრდისათვის.

მაგრამ მთავრობის საკონკურსო კომისიის ჟიური როდი დაკმაყოფილდა ერთი სახელმძღვანელოს მოწონებით და მისთვის ჯილდოს მინიჭებით. საისტორიო მეცნიერების ფრონტზე, უეჭველ მიღწევას არ შეუძლია დაფაროს ის ფაქტი, რომ საბჭოთა საისტორიო მეცნიერების წინაშე დასმული ამოცანები ჯერ კიდევ მთლიანად როდია გადაწყვეტილი. პირველი ჯილდო მიუცემელი დარჩა. ეს იმას ნიშნავს, რომ საუკეთესო სახელმძღვანელოც უნდა გაუმჯობესდეს. მთავარი კი ის არის, რომ საკონკურსოდ წარმოდგენილმა სახელმძღვანელოებმა გვიჩვენეს, მარქსიზმ - ლენინიზმისათვის დაწყებული ბრძოლა საისტორიო მეცნიერებაში, ჯერ შორს არის თავისი დაგვირგვინებისაგან, რომ გამომჟღავნებული ცრუ-ისტორიკოსების მიერ დანერგილი მავნე „თეორიები" ჯერ კიდევ ცოცხლობენ ჩვენს სამეცნიერო საისტორიო წრეში.

მთავრობის კომისიის ჟიურის დადგენილებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს მთელი ჩვენი შემდგომი (გამოტოვებულია) ისტორიის დარგში, პოლიტიკურ - საგანმანათლებლო მუშაობის, პარტიული სწავლების დარგში. დადგენილება ჰგმობს ისტორიული ფაქტების მეცნიერულ გადმოცემის შეცვლას „გაკვირვების ნიშნებით, აღფრთოვანების ყიჟინით და სხვადასხვა გულისამჩუყებელი ანეგდოტებით"...

ჩვენი პარტია ისტორიკოსებისა და პედაგოგებისაგან, კულტურული ფრონტის ყველა მუშაკისაგან მოითხოვს არა საერთო დეკლამაციას, არამედ სერიოზულ და გაღრმავებულ მუშაობას. პარტია და მთავრობა ამ მუშაობას დახმარებას უწევენ თავიანთი მითითებებით, რომელთა ღრმა აზრის შეფასებაც ძნელია. ამ მითითებებს პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს არა მარტო საისტორიო მეცნიერებისათვის, არამედ მთელი საპროპაგანდო მუშაობისათვის. საჭიროა ამ მითითებებს ჩავუკვირდეთ და შევისწავლოთ.

„პრავდის" მოწინავე, 22/VIII

სოციალიზმის ქვეყნის მამაცი მფრინავები

ბიბლიოთეკა

23 აგვისტოს საბჭოთა კავშირის დედაქალაქი ზეიმითა და სიხარულით შეხვდა საზღვარგარეთიდან დაბრუნებულ ამაყ სტალინურ შევარდნებს ამხ. გრომოვს, იუმაშევსა და დანილინს, რომლებმაც მოახდინეს ლეგენდარული ძირდაუშვებლად გადაფრენა ჩრდილოეთის პოლუსით მოსკოვიდან ჩრდილო ამერიკაში და რომლებმაც დაამყარეს პირდაპირი ხაზით სიშორეზე ფრენის მსოფლიო რეკორდი.

24 აგვისტოს კრემლის დიდ სასახლეში გაიმართა მიღება საბჭოთა კავშირის გმირის ამხ. გრომოვის, ამხ. იუმაშევისა და დანილინისა. მიღება გამართეს საკ. კ. პ, (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მთავრობამ.

სურათზე: ამხანაგები მ. გრომოვი, იუმაშევი, დანილინი, მარჩფილდში (ჩრდილო ამერიკა) გადაფრენის დამთავრების შემდეგ.

ლევანევსკის თვითმფრინავის საძებნელად

დიდი სტალინის სახელი აღბეჭდილია ჩვენს დროშაზე

სწორედ ორი თვის წინათ, 25 ივნისს, ჩვენ დავბრუნდით მშობლიურ მოსკოვში, წარმატებით შევასრულეთ რა სტალინური დავალება ჩრდილოეთის პოლუსზე მოდრეიფე პოლარული სადგურის მოსაწყობად.

დღეს ჩვენს ხომალდებს კვლავ ავაფრენთ ჰაერში და გავემგზავრებით არქტიკაში თვითმფრინავ „ნ-209"-ის ეკიპაჟის საძებრად.

ჩვენ აღგვაფრთოვანებს ჩვენი საყვარელი ბელადის, დიდი სტალინის მზრუნველობა ადამიანზე. სტალინის სახელი აღბეჭდილია ჩვენს დროშაზე. ამ სახელით ჩვენ მივემგზავრებით პოლუსის იქითა მხარის შორეულ, ჯერ გამოუკვლეველ რაიონებში.

ჩვენ არ შევჩერდებით უდიდეს სიძნელეთა წინაშე, რომლებიც აღმართულია ჩვენს გზაზე. ჩვენ ვიხმართ მთელს ჩვენს ძალღონეს, მთელს ჩვენს ცოდნას, პოლარული ავიაციის მთელს გამოცდილებას იმისათვის, რომ ყინულთა ტყვეობას გამოვსტაცოთ ჩვენი ამხანაგები ლევანევსკი, კასტანაევი, ლევჩენკო, პობეჟიმოვი, გოდოვიკოვი და გალკოვსკი.

ნახვამდის, მეგობრებო და ამხანაგებო!

თვითმფრინავების „ნ-170"-ის, „ნ-171"-ის, „ნ-172"-ის ეკიპაჟის სახელით: საბჭოთა კავშირის გმირები: **მ. ი. შეველიოვი, მ. ვ. ვოდოპიანოვი. ვ. ს. მოლოკოვი, ი. ტ. სპირინი, ა. დ. ალექსეევი.**

ფრუნზეს სახელობის ცენტრალური აეროდრომი.

ვილკინსის გაფრენა

ნიუ-იორკი, 25 აგვისტო (სატ-დესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო ფერბენქსიდან იუწყება, ვილკინსის თვითმფრინავი დღეს 1 საათსა და 15 წუთზე გრინვიჩის დროით გაფრინდა კოპერმაინიდან პოლარულ რაიონებში ამხ. ლევანევსკის თვითმფრინავის საძებნელად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება

საშუალო სკოლის მე-3 და მე-4 კლასებისათვის ისტორიის საუკეთესო სახელმძღვანელოზე მთავრობის საკონკურსო კომისიის ჟიურისა

საშუალო სკოლის მე-3 და მე-4 კლასებისათვის სსრ კავშირის ისტორიის საუკეთესო სახელმძღვანელოს საკონკურსო ჟიური აღნიშნავს, რომ მთელი რიგი სახელმძღვანელოები, კონკურსზე წარმოდგენილ 46 სახელმძღვანელოდან მოსცილდა ისტორიის იმ სახელმძღვანელოთა წინანდელ ტიპს, რომლებიც გაკრიტიკებულია სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1934 წლის 16 მაისის დადგენილებაში „სსრ კავშირის სკოლებში სამოქალაქო ისტორიის სწავლების შესახებ“. ნაცვლად განყენებული სოციოლოგიური სქემებისა, ამ სახელმძღვანელოებში, მიუხედავად ყველა მათი ნაკლისა დაცულია ისტორიულ-ქრონოლოგიური თანმიმდევრობა ისტორიული ამბების გადმოცემაში, მოცემულია უმნიშვნელოვანეს ისტორიულ მოვლენათა აღწერა, მოცემულია ძირითად ქრონოლოგიურ თარიღთა ჩამოთვლა და ისტორიულ მოღვაწეთა დახასიათება.

აღნიშნავს რა ამ ფაქტს, როგორც მიღწევას საისტორიო მეცნიერების ფრონტზე, ჟიური ამასთან ერთად საისტორიო მეცნიერების მუშაკთა ყურადღებას მიაქცევს იმას, რომ ამ სახელმძღვანელოებს ახლავს მთელი რიგი საერთო ნაკლოვანებანი, რომლებიც აცილებულ უნდა იქნენ როგორც სსრ კავშირის ისტორიის შესწავლის შემდგომ მუშაობაში, ისე ისტორიის სწავლებაში სკოლაში.

1. სსრ კავშირში დიდი სოციალისტური რევოლუციის აღწერის დროს მთელი რიგი სახელმძღვანელოების ავტორები აფუჩეჩებენ იმ ფაქტს, რომ პროლეტარიატის დიქტატურის მოპოების შედეგად ძალაუფლება გადავიდა საბჭოებზე, რომ გაიმარჯვა საბჭოთა ძალაუფლებამ. დიდი სოციალისტური რევოლუციის ისტორიული ამბები ისეა გადმოცემული, რომ მოწაფეებს გონებაში უნერგავენ არასწორ აზრს იმის შესახებ, თითქოს სახელმწიფო ძალაუფლებას სსრ კავშირში ახორციელებდეს უშუალოდ კომუნისტური პარტია. საბჭოების როლი, რომლებიც წარმოადგენენ სსრ კავშირის პოლიტიკურ საფუძველს, მიჩქმალულია. როლი საკ. კომ. პარტიის (ბ) როგორც მშრომელთა მოწინავე რაზმისა და მშრომელთა ორგანიზაციების ხელმძღვანელი ბირთვისა, დამახინჯებულია. არ არის ნაამბობი იმის შესახებ, თუ როგორ გაიზარდნენ და განმტკიცდნენ საბჭოები მემამულეთა და კაპიტალისტთა ხელისუფლების დამხობისა და პროლეტარიატის დიქტატურის მოპოების შედეგად. ზოგიერთი ავტორი საბჭოებს პირდაპირ განიხილავს, როგორც ერთერთ მრავალრიცხოვან ორგანიზაციათაგანს, პროფკავშირების, კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციების თანაბრად.

2. სრულიად დაუშვებელია, როდესაც ავტორები ნაცვლად იმისა, რომ გადმოსცენ კონსტიტუციის რამდენიმე უმნიშვნელოვანესი მუხლი, რომელთა ცოდნაც მოწაფეებს ევალებათ და რომელთა შეთვისებისათვის ისინი მომზადებული უნდა იყვნენ სსრ კავშირის ისტორიის მთელი გადმოცემით, ავსებენ მთელ გვერდებს მაღალფარდოვანი ლაყბობით მსოფლიოში ყველაზე ბედნიერი ქვეყნის შესახებ, რომლიდან მოწაფე ვერ მიიღებს ვერავითარ წარმოდგენას, თუ საზოგადოდ რა არის კონსტიტუცია.

მთელმა რიგმა ავტორებმა სსრ კავშირის კონსტიტუციის გადმოცემისას დაივიწყეს აღენიშნათ ის, რომ სსრ კავშირის პოლიტიკურ საფუძველს წარმოადგენენ მშრომელთა დეპუტატების საბჭოები, ანდა არ აღნიშნეს ის, რომ საბჭოების არჩევნები, კონსტიტუციის თანახმად, ჩატარდება არა მარტო საყოველთაო საარჩევნო უფლების საფუძველზე, არამედ თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზედაც ფარული კენჭისყრით.

3. სტალინის თეზისი იმის შესახებ, რომ რუსეთს სცემდნენ „სამხედრო ჩამორჩენილობისათვის, კულტურული ჩამორჩენილობისათვის, სახელმწიფოებრივი ჩამორჩენილობისათვის, სამრეწველო ჩამორჩენილობისათვის, სასოფლო-სამეურნეო ჩამორჩენილობისათვის“, თეზისი, რომელიც იძლევა უკანასკნელ საუკუნეთა რუსეთის ისტორიის ერთერთ უმნიშვნელოვანეს გასაღებს, ვერ გაუგიათ სახელმძღვანელოების მთელ რიგ ავტორებს. კერძოდ, ნაჩვენები არ არის, რომ იმპერიალისტური ომის დროს სწორედ სამრეწველო ჩამორჩენილობის გამო რუსეთის ჯარისკაცები დარჩნენ უყუმბარებოდ, სასოფლო-სამეურნეო ჩამორჩენილობის შედეგად მუშები ჩვენს ქვეყანაში დარჩნენ უპუროდ, საზოგადოებრივი წყობილების ჩამორჩენილობის შედეგად არმიას ხელმძღვანელობდნენ უხეირო ოფიცრები—მემამულეთა შვილები. ავტორები არ იძლევიან მემამულეებისა და კაპიტალისტების ხელისუფლების დროს რუსეთის ჩამორჩენილობის მკაფიო, ნათელ და ბავშვებისათვის მისაწვდომ დახასიათებას, ან კმაყოფილდებიან ამ ნაწილში ზოგადი ფრაზებით და ამით აძნელებენ იმას, რომ მოწაფეებმა გაიგონ საბჭოთა ხელისუფლების უდიდესი როლი ჩვენი ქვეყნის უბადრუკი და უძლური ქვეყნიდან — ძლიერ და უხვ ქვეყნად გადაქცევის საქმეში.

4. როგორც რუსეთის ცარიზმის, ისე რუსეთის კაპიტალიზმის დასავლეთ-ევროპის კაპიტალისაგან დამოკიდებული როლი არ არის ილუსტრირებული კონკრეტული ისტორიული ფაქტებით. არ არის ნაჩვენები, რომ რუსეთის დამოკიდებულება დასავლეთ-ევროპის კაპიტალისაგან პირდაპირი შედეგი იყო ქვეყნის სამეურნეო და პოლიტიკური ჩამორჩენილობისა. არ იძლევიან რა დასავლეთ-ევროპის კაპიტალისაგან რუსეთის დამოკიდებულების ნათელ დახასიათებას, ავტორები აძნელებენ იმას, რომ ბავშვებმა გაიგონ მნიშვნელობა დიდი სოციალისტური რევოლუციისა, „როგორც რუსეთის განმანთავისუფლებელისა მისი ნახევრად კოლონიური მდგომარეობიდან“ (სტალინი, ჟდანოვი და კიროვი).

5. ხშირად ახასიათებენ რა რევოლუციის წინადროინდელ ხელისუფლებას ან. და „მთავრობებს“, რომლებიც შექმნეს კლასობრივმა მტრებმა საბჭოთა ხელისუფლებასთან საბრძოლველად, ავტორები ლაპარაკობენ კაპიტალისტებზე, მაშინ როდესაც ლაპარაკი უნდა იყოს მემამულეებსა და კაპიტალისტებზე. ცნობილია, რომ რუსეთის სახელმწიფო წყობილების განვითარება, უკანასკნელ ათეულ წლებში რევოლუციის წინ, მიდიოდა რუსეთის მონარქიის ბურჟუაზიულ მონარქიად გადაქცევის მიმართულებით (ამასთან ეს პროცესი მაინც ვერ დამთავრდა რევოლუციამდე),—მემამულე ხელისუფლებას ინაწილებდა კაპიტალისტთან (რაც სრულიად არ ნიშნავს ხელისუფლების სრულ დათმობას კაპიტალისტებისათვის). ლაპარაკობენ რა „კაპიტალისტებზე“ იქ, სადაც ლაპარაკი უნდა იყოს „კაპიტალისტებსა და მემამულეებზე“. ავტორები ამასთან ერთად ივიწყებენ. მაგალითად. სთქვან ის, რომ გერმანიის ოკუპანტებმა უკრაინაში უწინარეს ყოვლისა გლეხები აიძულეს დაებრუნებინათ მიწა მემამულეებისათვის, რომ ასევე იქცეოდნენ სხვა ოკუპანტებიც. ამის შედეგად შეიძლება მივიღოთ ისტორიული პერსპექტივის დამახინჯება და იმ როლის მიფუჩეჩება, რომელიც ითამაშა მუშათა კლასმა, როგორც გლეხობის განმანთავისუფლებელმა მემამულეთა უღლისაგან.

6. სახელმძღვანელოების ავტორებმა ზუსტი ციფრებით არ დაახასიათეს მემამულეთა და გლეხთა მიწათფლობელობის თანაფარდობა. ამით მიფუჩეჩებულია მუშათა კლასის როლი გლეხებისათვის მემამულეთა მიწების გადაცემის საქმეში. ფაქტია, რომ არცერთ სახელმძღვანელოში არ არის მოყვანილი ლენინის ციფრები რევოლუციის წინადროინდელი მიწათმფლობელობის შესახებ: „გლეხთა ათ მილიონ კომლს 73 მილიონი დესეტინა მიწა აქვს. ოცდარვა ათას კეთილშობილ და ტყაპუჭა ლენდლორდს—62 მილიონი დესეტინა. ასეთია ძირითადი ფონი იმ ველისა, რომელზედაც ჩაღდება გლეხთა ბრძოლა მიწისათვის“. (ლენინი, ტომი მე-11, გვ. 337).

ავტორებს, როგორც წესი, არ მოუყვანიათ აგრეთვე ის ფაქტი, რომ დიდი სოციალისტური რევოლუციის შედეგად გლეხებმა სსრ კავშირში მიიღეს 150 მილიონზე მეტი ჰექტარი ყოფილი საბატონო, სახაზინო და სამონასტრო მიწა.

ავტორთა ამ გულმავიწყობას ის მოსდევს, რომ დიდი სოციალისტური რევოლუციის ამბების გადმოცემის დროს ხშირად გლეხებთან კავშირში მყოფ მუშებს როდი უპირისპირებენ მემამულეებთან კავშირში მყოფ კაპიტალისტებს,—არამედ ერთმანეთს უპირისპირებენ მხოლოდ მუშებს და მხოლოდ კაპიტალისტებს. ამით ავტორთა უნებურად ჩნდება შეუწყნარებელი ხვრელი ანტიისტორიულ და ანტიმარქსისტულ შეხედულებათათვის დიდ სოციალისტურ რევოლუციაზე, რომელთაც მუშათა კლასი გამოჰყავთ არა მთელი მშრომელი ხალხის ბელადად, არამედ კლასად, რომელმაც რევოლუცია თითქოს მარტო თავისთვის მოახდინა.

7. სახელმძღვანელოთა ავტორების უმრავლესობამ ვერ მოახერხა ეჩვენებინა ისტორია სამოქალაქო ომისა, როგორც ომისა, რომელშიც რუსი მემამულენი და კაპიტალისტები თავიანთი აგენტურით (ესერებითა და მენშევიკებით) გამოდიოდნენ როგორც უცხოეთის კაპიტალიზმის მოწინავე რაზმი და დაქირავებული აგენტები. ნათლად არ არის გაშუქებული სსრ კავშირის ისტორიისათვის ის ფრიად მნიშვნელოვანი ფაქტი, რომ რუსეთის კაპიტალისტებმა და მემამულეებმა, განიცადეს რა დამარცხება ჯერ კიდევ 1917 წლის დამლევს თითქმის სსრ კავშირის მთელ ტერიტორიაზე, გადასწყვიტეს მიეყიდნათ თავისი ქვეყანა და მისი დამოუკიდებლობა გერმანელ იმპერიალისტებისათვის, შემდეგ ანტანტის იმპერიალისტებისათვის. ამის შედეგად სსრ კავშირის სამოქალაქო ომის მნიშვნელობა იზღუდება წმინდა რუსული მოვლენის როლამდე და იჩქმალება ჩვენი რევოლუციის საერთაშორისო ხასიათი. არასაკმაო სიცხადე ამ საკითხის გადმოცემაში აფუჩეჩებს ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების როლს, რომლებმაც ფეხზე დააყენეს მთელი ხალხი სამშობლოს დასაცავად უცხოეთის ბურჟუაზიულ სახელმწიფოთა თავდასხმის წინაამდეგ (გერმანიის ლაშქრობა 1918 წელს, ანტანტის სამი ლაშქრობა), იხსნეს ჩვენი ქვეყანა უცხოეთის კაბალისაგან და იმპერიალისტური სახელმწიფოების მიერ დამონებისაგან, უზრუნველჰყვეს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, დაიცვეს თავისი მიწა-წყალი („ვლადივოსტოკი შორს არის, მაგრამ ის ხომ ჩვენი ქალაქია“. ლენინი, ტ. მე-27, გვ. 362) და შექმნეს პირობები სსრ კავშირის ხალხთა განვითარებისა და წარმატებისათვის.

8. განყოფილებას, მიძღვნილს 1917-1920 წლების ისტორიისადმი, როგორც წესი ის დიდი ნაკლი აქვს, რომ მას ამ პერიოდის ისტორია დაჰყავს თითქმის მხოლოდდამხოლოდ სამოქალაქო ომამდე და არ იძლევა წარმოდგენას ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივი წყობილების იმ გარდაქმნის შესახებ, რომელიც საბჭოთა ხელისუფლებამ იმ პერიოდში განახორციელა. საჭიროა მოთხრობა თუნდაც ძირითადის შესახებ, ე. ი. იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირმა ამ პერიოდში:

ა) მოსპო კერძო საკუთრება ფაბრიკებსა და ქარხნებზე, რომლებიც წინათ კაპიტალისტებს ეკუთვნოდათ და დაამყარა ფაბრიკებისა, ქარხნებისა, ბანკებისა და სხვ. სოციალისტური, საყოველთაო-სახალხო, სახელმწიფო საკუთრება.

ბ) გადასცა გლეხებს საბატონო, სამონასტრო, სახაზინო მიწები, გამოაცხადა რა ნაციონალიზებულად მთელი მიწა სსრ კავშირში.

გ) მიანიჭა სსრ კავშირის ერებს თანაბარი უფლება რუსის ხალხთან ერთად და შეუდგა ნაციონალურ დამოუკიდებელ ან ავტონომიურ რესპუბლიკათა შექმნას;

დ) დაამსხვრია რა ბურჟუაზიისა და მემამულეთა სახელმწიფო მანქანა, შეუდგა ახალი სახელმწიფო მანქანის აგებას საბჭოების საფუძველზე.

9. ავტორთა უმეტესობა სოციალისტური საზოგადოების აშენების ეპოქას სსრ კავშირში აღწერს უფრო გაკვირვების ნიშნებით, აღფრთოვანების ყიჟინით და სხვადასხვა გულისამჩუყებელი ანეგდოტებით, სიმღერებით და ზოგადი დახასიათებებით პლუს ჩამოთვლა პირველი ხუთწლედის 3-4 ყველაზე პოპულარული პირმშოსი, ნაცვლად იმისა, რომ ზუსტად, ნათლად და მარტივად დაგვანახოს, თუ ორი ხუთწლედის შედეგად როგორ მოხდა, რომ შეიქმნა მძლავრი მრეწველობა, გლეხები გაერთიანდნენ კოლმეურნეობებად, სოფლის მეურნეობა გადაყვანილია სატრაქტორო ტექნიკის ბაზაზე, ხოლო მუშურ-გლეხური სახელმწიფოს დასაცავად შექმნილია მძლავრი ტექნიკურად აღჭურვილი მუშურ-გლეხური წითელი არმია.

ავტორთა უმეტესობამ ვერ მოახერხა აგრეთვე მოეცა ზოგადი გადმოცემისაგან მოუწყვეტლივ მუშათა და გლეხთა მტრებთან იმ გაუწყვეტელი ბრძოლის აღწერა, რომლის წარმოებაც მოუხდა საბჭოთა ხელისუფლებას და საკ. კ. პ. (ბ) იმისათვის, რათა უზრუნველეყო სოციალიზმის გამარჯვება ჩვენს ქვეყანაში (კულაკური საბოტაჟი პურის დამზადებაში, მავნებლობა შახტელთა, სამრეწველო პარტიისა, შეთქმულები, ფაშიზმის ტროცკისტ აგენტთა ცდები მიეყიდნათ სსრ კავშირი უცხოელ იმპერიალისტებისათვის და სხ.).

10. ჟიური აღნიშნავს, როგორც სახელმძღვანელოების ავტორთა დიდ მიღწევას, იმ ფაქტს, რომ მათი სახელმძღვანელოები აღარ არის ისტორია მარტო ველიკორუსი ხალხისა, მაგრამ ის ამოცანა, რომ ისტორიის სუბიექტებად შეყვანილ იქნენ აგრეთვე მეფის მონარქიის მიერ დამონებული და ნაციონალური ჩაგვრისაგან დიდი სოციალისტური რევოლუციის მიერ განთავისუფლებული სხვა ხალხებიც — ვერ გადასჭრა სახელმძღვანელოთა ვერც ერთმა ავტორმა.

11. იმ სქოლასტიკურ მეთოდთა გამოძახილი, რომლებიც სცვლიან ისტორიულ მოვლენათა მარქსისტულ გაშუქებას, იარლიკების დაკვრა სხვადასხვა საზოგადოებრივ-ეკონომიურ ფორმაციებისა და მოვლენებისათვის პოულობენ, მაგალითად, თავის გამოხატულებას იმაში, რომ უნარი არ შესწევთ გაიგონ და შეაფასონ ისტორიული მნიშვნელობა საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციისა, რომელიც გაუსწორდა აბსოლუტიზმსა და ფეოდალიზმს ისე, როგორც არ გასწორებია არცერთ ბურჟუაზიული რევოლუცია. არ შესწევთ უნარი გაიგონ და შეაფასონ როლი იაკობინელთა, როგორც თავიანთი დროის რევოლუციური კლასის — ბურჟუაზიის ყველაზე გაბედულ წარმომადგენელთა. იაკობინელები, სახელმძღვანელოთა ზოგიერთ ავტორს გამოჰყავს, როგორც მხოლოდ დამოუკიდებელ ოსტატთა და წვრილ მედუქნეთა წარმომადგენლები, მეორენი იაკობინელთა დიქტატურას გვიხატავენ, როგორც დიქტატურას, რომელმაც თითქოს ვერაფერი ვერ მისცა ხალხს, მესამენი გვიხატავენ ბურჟუაზიის წინააღმდეგ მიმართულ ხელისუფლებად.

ვერ მოგვცეს რა საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის მიღწევათა მკაფიო დახასიათება ფეოდალიზმთან ბრძოლის საქმეში, ავტორებმა ამასთან ერთად ვერ შესძლეს დაეხასიათებინათ შეზღუდულობა საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციისა, რომელმაც კლასობრივი ბატონობისა და ექსპლოატაციის ერთი სახე შესცვალა კლასობრივი ბატონობისა და ექსპლოატაციის მეორე სახით—უფრო პროგრესულით.

12. ანტიისტორიულ, არა მარქსისტულ შეხედულებათა გამოძახილი აქვთ საკონკურსოდ წარმოდგენილ სახელმძღვანელოთა ავტორებს თითქმის ყოველ ნაბიჯზე, როდესაც აგვიწერენ სსრ კავშირის საბჭოთა პერიოდამდე:

ა) ავტორები აიდიალებენ ქრისტიანობის წინადროის წარმართობას, ამასთან მათ არ ესმით ის უბრალო ფაქტი, რომ ქრისტიანობის შემოღება პროგრესი იყო წარმართულ ბარბაროსობასთან შედარებით, რომ ქრისტიანობასთან ერთად სლავებმა მიიღეს დამწერლობა და უფრო მაღალი ბიზანტიური კულტურის ზოგიერთი ელემენტი;

ბ) ავტორები უგულებელჰყოფენ მონასტრების, როგორც დამწერლობისა და საკოლონიზაციო ბაზების გამავრცელებლების, როლს რუსეთის ნათლობის შემდგომ პირველ საუკუნეებში.

გ) ავტორები ვერ ხედავენ ვერავითარ დადებით როლს ხმელნიცკის მოქმედებაში მე-17 საუკუნეში, მის ბრძოლაში უკრაინის ოკუპაციის წინააღმდეგ პანების პოლონეთისა და ხონთქრის თურქეთის მიერ. მაგალითად, რუსეთის პროტექტორატის ქვეშ საქართველოს გადასვლის ფაქტს მე-18 საუკუნის დამლევს ისევე როგორც უკრაინის გადასვლის ფაქტს რუსეთის ხელმწიფებაში, ავტორები განიხილავენ, როგორც აბსოლუტურ ბოროტებას, იმდროინდელ კონკრეტულ ისტორიულ პირობებთან დაუკავშირებლად. ავტორები ვერ ხედავენ, რომ საქართველოს წინაშე მაშინ იდგა ალტერნატივა—ან ჩანთქმული ყოფილიყო შაჰის ირანისა და ხონთქრის თურქეთის მიერ, ან გადასულიყო რუსეთის პროტექტორატის ქვეშ, ისევე როგორც უკრაინის წინაშე მაშინ იდგა ალტერნატივა — ან ჩანთქმული ყოფილიყო პანების პოლონეთისა და ხონთქრის თურქეთის მიერ, ან გადასულიყო რუსეთის ხელმწიფებაში. ისინი ვერ ხედავენ, რომ მეორე პერსპექტივა მაინც ნაკლები ბოროტება იყო.

დ) მე-20 საუკუნის დამდეგამდე გლეხთა აჯანყებების გაშუქების დროს გაზვიადებულია მათი ორგანიზებულობა და შეგნებულობა. სახელმძღვანელოთა ავტორებს, როგორც სჩანს, საკმაოდ ვერ შეუგნიათ, რომ გლეხებს, მუშათა კლასის ხელმძღვანელობის გარეშე, შესწევდათ მხოლოდ სტიქიური და არაორგანიზებული მოძრაობის უნარი. ავტორებს, როგორც ჩანს, საკმაოდ ვერ გაუგიათ ლენინის მიერ მრავალჯერ გამეორებული აზრი იმის შესახებ, რომ გლეხთა რევოლუციურ მოძრაობას ორგანიზებული ხასიათი მისცეს მხოლოდ მუშათა კლასმა და ბოლშევიკურმა პარტიამ, როცა ისინი განმტკიცდნენ და გაიზარდნენ მრავალწლიან ბრძოლაში მემამულეთა და კაპიტალისტთა წინააღმდეგ. არასაკმაოდ მარქსისტული მიდგომა ისტორიული მოვლენებისადმი

(გაგრძელება იხ. მე-4 გვ.)

დადგენილება

(დასასრული)

ში იწვევს იმას, რომ ზოგიერთი ავტორი იქეთ რეაქციულ მოძრაობებსაც კი აიდიალებს როგორიც იყო, მაგალითად, სტრელეცთა ამბოხება, მიმართული პეტრეს ცდების წინააღმდეგ, რომელთა მიზანს შეადგენდა მაშინდელი რუსეთის ცვილიზება.

ე) ავტორთა უმეტესობა, როგორც წესი, სწორ ისტორიულ შეფასებას არ აძლევს ნოვგოროდელთა ბრძოლას გერმანელ რაინდებთან ჩუდსკოის ტბაზე, როდესაც შეჩერებულ იქნა აღმოსავლეთისაკენ სვლა გერმანელ ოკუპანტებისა (ტევტონთა ყაჩაღური ორდენი — „ქოფაკი-რაინდები“—როგორც უწოდებდა მათ კარლ მარქსი), რომელნიც ახორციელებდნენ კოლონიზაციას დამორჩილებულ ხალხთა ერთიანი გაჟლეტითა და ძარცვით. მარქსისტული შეფასების უქონლობა სწორედ ამ მოვლენისა სსრ კავშირის ისტორიაში მით უფრო დაუშვებელია, რომ მის მიმართ არსებობს მარქსის გარკვეული შეფასება: „1242 წ. ალექსანდრე ნეველი ილაშქრებს გერმანელ რაინდთა წინააღმდეგ, აპარცხებს მათ ჩუდსკოის ტბის ყინულზე, ისე, რომ არამზადები საბოლოოდ გარეკეს რუსეთის საზღვრებიდან“.

მთავრობის კომისიის ჟიური ადგენს:

1. პირველი პრემია არ მიესაჯოს საკონკურსოდ წარმოდგენილ სახელმძღვანელოთა არცერთ ავტორს.
2. მეორე პრემია 75 ათასი მანეთის ოდენობით მიესაჯოს იმ სახელმძღვანელოს ავტორებს, რომელიც შედგენილია სსრ კავშირის მოსკოვის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის კათედრის მიერ პროფესორ ა. ვ. შესტაკოვის რედაქციით.
3. „სსრ კავშირის ისტორიის მოკლე კურსი“ პროფესორ ა. ვ. შესტაკოვის რედაქციით ჩაითვალოს მთავრობის კომისიის მიერ მოწონებულად და რეკომენდებულ იქნეს, როგორც სახელმძღვანელო მე-3 და მე-4 კლასებისათვის.
4. მიეცეთ საკონკურსოდ წარმოდგენილ სახელმძღვანელოთა ქვემოთჩამოთვლილ ავტორებს,—მინცს, ნეჩკინას, გენკინას, პანკრატოვას, გუდოშნიკოვს და გლიაზერს ხუთ-ხუთი ათასი მანეთი, როგორც წამახალისებელი პრემია.

კონკურსის ჟიური

სსრ კავშირის ისტორიის მოკლე კურსის გამოცემა

მთავრობის კომისიის მიერ მოწონებული „სსრ კავშირის ისტორიის მოკლე კურსი“ საშუალო სკოლის მესამე და მეოთხე კლასებისათვის გადაეცა დასაბეჭდად სასწრაფო გამოშვების მიზნით. სახელმძღვანელოს გამოსცემს სახელმწიფო სასწავლო პედაგოგიური გამომცემლობა. მისი თავდაპირველი ტირაჟი დაწესებულია 5 მილიონი ცალის რაოდენობით. სახელმძღვანელოს ძირითადი მასა ბაზარზე გამოვა სექტემბერში და მისი ჩაბარება დამთავრდება მიმდინარე წლის ოქტომბრის დამდეგს. სახელმძღვანელოს გამოსცემენ კამისა და კამენსკის ფაბრიკების № 2 მოჭიქულ საბეჭდ ქაღალდზე. სახელმძღვანელოს მოცულობა უდრის 14 ნაბეჭდ ფურცელს 6 რუკით, 3 ჩანართით და 109 ილუსტრაციით ტექსტში. სახელმძღვანელო იბეჭდება შემდეგ სტამბებში: პირველ სანიმუშო, „კრასნი პროლეტარი“, „პეჩატნი დვორი“ ევგ. სოკოლოვის სახელობისა, პოლიგრაფწიგნის მე-16 სტამბა, სამხედრო გამომცემლობის სტამბა, გზათა სახალხო კომისარიატის ლენინგრადის სტამბა, მოსპოლიგრაფის მე-7 და მე-13 სტამბები და „დეტსკაია კნიგის“ სტამბა. 100 ათასს უშვებენ ლიდერინის ყდით, დანარჩენს — ჩარსავით. ჩარსავიანი სახელმძღვანელო ეღირება 2 მან. და 25 კაპიკად, ლიდერინის ყდიანი — 3 მანეთად.

სკოლები არ არის მომზადებული ბავშვების მისაღებად

სტალინირი, 25 აგვისტო (საქდესი). ახლოვდება სასწავლო წელი, მაგრამ სკოლები არ არიან მომზადებული ბავშვების მისაღებად.

ზნაურის რაიონში „მსუბუქი კავალერიის“ რეიდით აღნუსხულია ბევრი სკოლა, რომლებიც ჯერ კიდევ შეკეთებული არ არის. ეს სკოლებია შემდეგ სოფლებში: მაღდა, თორმანეული, ოხტანა, თერეგვანი, სუნისი და ავნევი. ყველა ამ სკოლაში სასკოლო ინვენტარი მიყრილ-მოყრილია, იგი მოითხოვს რემონტს, ფანჯრები არ არის წესრიგში მოყვანილი.

ზნაურის საშუალო სკოლის შენობაში მუშაობს რაიფინგანი. სკოლის შენობა დღემდე არ არის განთავისუფლებული და შეკეთებული.

შეკეთებული არ არის აგრეთვე სტალინირის სკოლები. ოსური საშუალო სკოლა დღემდე მზად არ არის, თუმცა ამ სკოლის რემონტი უნდა დამთავრებულიყო 10 აგვისტოსათვის.

ოლქის არცერთი რაიონი სრული მზადყოფნით ვერ ხვდება სასწავლო წელს, მაგრამ სახალხო განათლების ორგანოებს ეს ნაკლებ აწუხებს.

სამზადისი ჩაშალეს

სოფ. ნაკიანის (ჩხოროწყუს რ.) არასრულ საშუალო სკოლაში ახალ სასწავლო წლისათვის მზადება ჩაშლილია. სკოლის შენობას ესაჭიროება დახურვა. შესაკეთებელია სკოლის ეზო, შესაძენია პარტები და სხვ. მაგრამ 15 აგვისტოსათვის მუშაობა დაწყებულიც არ იყო. აბა ვის უნდა დაეწყო, როცა სკოლის დირექტორი განათ. განყოფილებამ სოფ. კირცხის სკოლაში გაგზავნა (იქაც მზადება ჩაშლილი იყო), სადაც ის სექტემბრიდან იყო დანიშნული და ნაკიანის სკოლა კი უპატრონოდ დატოვეს.

ვ. ვ—ა

ახალი სასწავლო წლის წინ

რამდენიმე დღე დარჩა სასწავლო წლის დაწყებამდე, მაგრამ სასწავლებელთა ბევრი შენობა არ არის მზად ბავშვების მისაღებად. წელს რესპუბლიკის ქალაქებში შენდება საშუალო სკოლების 12 შენობა, აქედან 5 — თბილისში.

სკოლები ძალიან ნელა შენდება. დაწესებული ვადისათვის — 10 აგვისტოსათვის სკოლები არ ყოფილა მზად, არც გაგრძელებული ვადისათვის — 20 აგვისტოსათვის იყო დამთავრებული. თბილისში ყველაზე უკეთ არის აშენებული სკოლები შაუმიანის ქუჩაზე და „ცხრა ძმის“ მოედანზე. ისინი მზად არიან 92,8 პროცენტით. ნელა შენდება სკოლა პლეხანოვის პროსპექტზე, მზად არის 68,4 პროცენტით.

სხვა ქალაქებში სკოლების მშენებლობა უფრო წარმატებით მიმდინარეობს ბათომსა და გორში (მზად არის 98 პროცენტით). წინანდებურად ცუდად მიმდინარეობს სკოლების მშენებლობა სტალინირსა (56 პროც.) და სოხუმში (39 პროც.)

* * *

პედაგოგების შერჩევა ჯერ კიდევ არ არის დამთავრებული. საკმაო რაოდენობით არ არიან მასწავლებლები სომხური, თურქული და ოსური სკოლებისათვის. მასწავლებლებით კარგად არის უზრუნველყოფილი სრული საშუალო სკოლები, უფრო ცუდად არასრული საშუალო სკოლები. პედაგოგიურ სასწავლებლებს აკლიათ მათემატიკისა და ქართული ენის მასწავლებლები.

ახალი სასწავლო წლისათვის მზადების საქმეში წინ მიდიან თელავის, ჯულღის, აბაშისა და ქუთაისის რაიონები. ძალზე ჩამორჩებიან ყაზბეგის, მ. ცხაკაიას და სხვ. რაიონები.

* * *

საქართველოს უმაღლესმა სასწავლებლებმა (უნივერსიტეტი, პედაგოგიური და სამასწავლებლო ინსტიტუტები) წელს უნდა მიიღონ 2445 ახალი სტუდენტი (მათ რიცხვში უნივერსიტეტმა 870 კაცი.) ვაკანსიების ამ რიცხვზე შეტანილი აქვს განცხადება 4.595 კაცს. უნივერსიტეტში ყველაზე მეტი განცხადებაა შეტანილი ფილოლოგიურ და ფიზიკა - მათემატიკურ ფაკულტეტებზე.

მოსწავლეთა კონტიგენტი ვერ მიიზიდეს სტალინირისა და გორის სამასწავლებლო ინსტიტუტებმა.

* * *

სოფლებში შენდება 122 სკოლა 32048 ადგილით. მიმდინარე წელს მათგან უნდა დამთავრდეს 55 შენობა. სოფლის სკოლების მშენებლობა ძალიან ჩამორჩა. რაიაღმასკომები და საქალაქო სახალხო განათლების განყოფილება ნაკლებ ყურადღებას აქცევენ ამ საქმეს.

სკოლების რემონტი ყოველგან ჩატარდა. თბილისში 118 სკოლიდან შეკეთებულია 50 სკოლა, დანარჩენ სკოლებში ჩატარდა მიმდინარე რემონტი.

* * *

წელს გაუმჯობესდა სახელმძღვანელოების მიწოდება დაწყებითი და საშუალო სკოლებისათვის. ქართული სკოლებისათვის უნდა გამოეშვათ 66 სახელწოდების სახელმძღვანელო, აქედან უკვე გამოშვებულია 65. რჩება ანბანის წიგნი — იგი ამ დღეებში გამოიცემა. მაგრამ გამოცემულ სახელმძღვანელოთა ხარისხი არ არის დამაკმაყოფილებელი — ეტყობა აჩქარება და დაუდევრობა.

ცუდად არის საქმე სომხური, აზერბეიჯანული და ოსური სკოლების სახელმძღვანელოების მხრივ. სომხეთმა 57 სახელწოდებიდან გამოგზავნა 13, აზერბეიჯანმა 62 სახელწოდებიდან გამოგზავნა მხოლოდ 16 და სამხრეთ ოსეთს კი 33-დან არცერთი არ გამოუგზავნია. რუსული სახელმძღვანელოები მიღებულია 30-40 პროცენტით ნაკლები, ვიდრე ეს საჭიროა. არ არის გეოგრაფიის, ლიტერატურის, უცხო ენების ახალი სახელმძღვანელოები. პედაგოგიური სასწავლებლებისათვის არ არის პედაგოგიკის, ისტორიის, გეოგრაფიის ახალი სახელმძღვანელოები, მეთოდიკის დამხმარე სასწავლო სახელმძღვანელოები.

კარგად არ არის საქმე საკანცელარიო ნივთების მხრივაც: თითქმის არ არის ხატვის რვეულები; საჭიროა ნახევარ მილიონამდე სამელნე, მიღებულია კი სულ რამდენიმე ათასი სამელნე. სახელგამი თავს ვერ ართმევს სკოლების მომარაგებას.

უმსგავსოებანი ადიგენის რაიონის სკოლებში

სახალხო განათლების საქმეს ჩვენში უდიდესი ყურადღება ექცევა. განათლების დაწესებულებათა ქსელი დღითი-დღე იზრდება. სასკოლო მშენებლობა გაიშალა ჯერ არნახული მასშტაბით. მშრომელი მოსახლეობის კულტურულ-აღმზრდელობით მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად შექმნილია ყოველგვარი პირობები.

მაგრამ სწავლა-განათლების დარგში მუშაობა ყოველგან ჯერ კიდევ ვერ უპასუხებს იმ გაზრდილ მოთხოვნილებებს, რომლებიც უყენებენ მას არა მარტო მოწინავე, არამედ ოდესღაც ჩამორჩენილი რაიონებიც.

ადიგენის რაიონში განათ. განყოფილებისა და განსახკომის უხეირო ხელმძღვანელობის შედეგად სახალხო განათლების მდგომარეობა არაა დამაკმაყოფილებელი. აქ განათლების ორგანოები დანაგვიანებულია უცხო ელემენტებით. გამგის ხშირი ცვლის გამო განათ. განყოფილება უპატრონოდ გამოიყურება — არა აქვს არც თავისი და არც სკოლების სამუშაო გეგმები, მისი მეურნეობა ქაოტიურ მდგომარეობაშია. საქმის წარმოებაში არაა დაცული რაიმე სისტემა; არაა წესრიგში მოყვანილი მასწავლებელთა პირადი საქმეები, მეტიც — მასწავლებელთა საბუთები განყოფილებას სულაც არა აქვს, არ მოიპოვება პედაგოგთა ზუსტი სიაც კი.

ასეთივე მდგომარეობაა განყოფილების საბიუჯეტო დარგში. დღემდე მას არა აქვს დამტკიცებული ბიუჯეტი. თანხების ხარჯვა, როგორც იტყვიან, ბრმად წარმოებს. ამ საქმეში შეუწყნარებელ თვითნებობას და უდისციპლინობას აქვს ადგილი: მასწავლებელთა ხელფასის გამოწერაში არაა დაცული დაკანონებული ნორმები; მათ ხელფასს უწერენ უსაბუთოდ და არა დაწესებული განაკვეთების მიხედვით. სპარსული ენის შემსწავლელ წრის ლექტორად და რაიონული გაზეთის კორექტორად თბილისიდან გამოუწვევიათ ვინმე ისმაილ ხაკი, რომელიც ფაქტიურად დაუნიშნავთ სოფ. ღელოვანის სკოლის მასწავლებლად, საიდანაც ის ღებულობდა ყოველთვიურად 603 მან. ვარხნის ა-ს. საშუალო სკოლის მასწავლებელ აბილინოვას ყოველთვიურად ზედმეტად უწერდნენ ხელფასს. ინტერნატებში სტიპენდიები ნაწილდებოდა ყოველგვარ კონტროლის გარეშე. ვარხნის სკოლის დირექტორ ფარაჯევამ დაუნიშნა სტიპენდია თავის დას, რომელიც ინტერნატში არ იმყოფებოდა.

ამ დამახინჯებებს რაიონის ორგანოები აქამდე გვერდს უვლიდნენ და არ ღებულობდნენ მათ წინააღმდეგ ღონისძიებებს. ამ დაუშვებელ საბიუჯეტო დამახინჯებათა გამოსწორება განათლების განყოფილებას დაუწყია მხოლოდ ა-წ. ივნისში საატესტაციო კომისიის მუშაობის დაწყების შემდეგ.

განათ. განყოფილება რაიონის სკოლებს არ უწევს სათანადო ოპერატიულ ხელმძღვანელობას. განყოფილების გამგე და ინსტრუქტორები სკოლებში არ ყოფილან, გარდა ორიოდე სკოლისა; მუშაობა თვითდინებაზეა დამყარებული, რის გამოც მეთოდურ დახმარებას მოკლებული სკოლები უხეიროდ მუშაობენ. ამის დამადასტურებელია ადიგენის და ვარხნის ა-ს. საშუალო სკოლების მუშაობა. ადიგენის სკოლაში, რომელიც განათ. განყოფილების თითქმის გვერდზე მდებარეობს, აშკარა მავნებლობას აქვს ადგილი. სკოლის ქონება სრულიად მოუვლელია და უპატრონოდაა დაყრილი; უსუფთაობა, გაფლანგვა, მავნებლობა, „არტელოვშჩინა“ ამ სკოლაში მტკიცედ დასადგურებულა. კლასების რიცხვი ხელოვნურად გაუზრდიათ: სამ პირველ კლასში 58 მოწაფეა, რასაც ორი კლასი ნორმალურად დაიტევდა; სამ მეორე კლასში 55 მოწაფეა (17+18+20) ერთი კლასი აქაც ზედმეტია. ცხადია, კლასების რიცხვის ხელოვნურად გაზრდა გამოწვეულია მასწავლებელთათვის ზედმეტი შემოსავლის წყაროს გაჩენის მიზნით. მშობელთა შორის სუსტი მუშაობის შედეგად სკოლებში (როგორც ადიგენის, ისე სხვ.) მოწაფეთა უმიზეზოდ დაუსწრებლობას ძალზე მასობრივი ხასიათი აქვს. ხშირია და თითქმის სისტემატური შემთხვევები, როცა გაკვეთილს 4 მოწაფეზე მეტი არ ესწრება. ანალოგიური სურათია ვარხნის ა-ს. საშუალო სკოლაში. მოწაფეთა უმიზეზოდ გაცდენა აქაც დაუშვებლად დიდია; სკოლის მუშაობა საერთოდ ჩაშლილია; სკოლას არ აქვს: სამუშაო გეგმები, მასწავლებელთა შემადგენლობის, კლასების ხელმძღვანელებისა და მოწაფეთა მტკიცე სიები, პედსაბჭოს ოქმები არ ინახება, არა აქვს საინვენტარო და საკატალოგო წიგნები. სკოლის მეურნეობა მთლიანად აქაც ქაოტიურ მდგომარეობაშია.

ადიგენის რაიონის ზოგიერთ სკოლაში ადგილი აქვს აღზრდის ბარბაროსულ მეთოდებს — მოწაფეების ფიზიკურ დასჯას. ვარხნის ა-ს საშუალო სკოლის ყოფილი მასწავლებელი მურსაკულოვი აცხადებდა: „მოწაფეთა აღზრდის სხვა მეთოდები ჩემთვის წარმოუდგენელია. როგორ შეიძლება მოწაფეთა სწავლება ფიზიკური დასჯის გარეშეო“. რაიონში მტკიცედ გაუდგამს ფესვები დაგმობილ პედოლოგიის თეორიას. სუსტ მოწაფეებთან განსაკუთრებული მუშაობის ნაცვლად, მათ (მოწაფეებს) აცხადებენ არანორმალურ ბავშვებად, რიცხავენ სასწავლებლიდან ანდა გადაყავთ დაბალ კლასებში; მაგ., ვარხნის სკოლის დირექტორმა ალი ზაბუნმა პედოლოგიური მოსაზრებებით მეხუთე კლასის სამი მოწაფე გადაიყვანა მეოთხე კლასში; მოწაფე მეხტი ბადიმან-ოღლი გარიცხეს სკოლიდან, როგორც დეფექტური. (!)

სუსტად ემზადება რაიონი მომავალ სასწავლო წლისათვის. პედ. კადრების შერჩევა, მათი მიზანშეწონილად განაწილება, სასკოლო ინვენტარის შეძენა და რემონტი ნელი ტემპით მიმდინარეობს.

წ-კ. უცოდინარობის ლიკვიდაციის საქმე არაა ხეირიანად დაყენებული. ზოგიერთ ადგილას ამ დარგში გარღვევებია. ლიკსკოლა დამთავრებულთა ნაწილს ხელმოწერა არ შეუძლია. ადგილი აქვს თვალის ახვევის შემთხვევებს—მსმენელთა გამოსაშვებ აქტზე მსმენელის მაგივრად (მისი უცოდინარობის გამო) ხელს აწერს სხვა ვინმე. წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის მიმდინარე წელს გაღებული 83.000 მანეთი დანიშნულ მიზანს ვერ მიაღწევს, თუ დროზე არ იქნა მიღებული სათანადო ღონისძიებები.

საჭიროა განათლების ორგანოებმა არსებულ დამახინჯებათა აღმოსაფხვრელად გადამჭრელ ღონისძიებათა გატარებით და კონკრეტულ-ოპერატიული ხელმძღვანელობით შექმნან ნორმალური მდგომარეობა.

გ. ტივაძე.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ. მეცნიერებისა და სკოლის განყოფილების ინსტრუქტორი.

მემარჯვენე კონტრრევოლუციურ ტერორისტ-დივერსანტ-მავნებელთა პროცესი სიღნაღის რაიონში

24 აგვისტოს სიღნაღში საქ. სსრ უზენაესი სასამართლოს სპეციალურმა შემადგენლობამ — საქ. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ამხ. მ. ისაკაძე, წევრები: ეფ. თათუზოვი, ა. დათუნაშვილი, მდივანი ნ. ავალიშვილი, სახელმწიფო ბრალმდებელი რესპუბლიკის პროკურორი ამხ. ვ. ტალახაძე, საზოგადოებრივი ბრალმდებლები გ. ასანიშვილისა და ა. კოჭლამაზაშვილის მონაწილეობით— დაიწყო სიღნაღის რაიონში მოქმედ მემარჯვენე კონტრრევოლუციურ ტერორისტ - დივერსანტ - მავნებელთა საქმის საჯარო გარჩევა.

საბრალმდებლო დასკვნით, მემარჯვენეთა კონტრრევოლუციურ ტერორისტულ, დივერსიულ - მავნებლური მუშაობის გამო, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 58-8, 58-9 და 58-11 მუხლების მიხედვით, საბრალმდებლო სკამზე სხედან ხალხის მტრები: საქ. კ. პ. (ბ) სიღნაღის რაიკომის ყოფილი მდივანი ა. წითლიძე, რაიაღმასკომის ყოფილი თავმჯდომარე შ. ალავერდაშვილი, ელდარის მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობის ყოფილი დირექტორი კ. აბაშიძე, წნორის მტს-ის ყოფილი დირექტორი ი. სტეფანოვი, ს. ნუკრიანის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის“ ყოფილი თავმჯდომარე ს. ყუფარაშვილი, ხირსას მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის ყოფილი უფროსი სპეციალისტი მ. შათირიშვილი, საქობოს სას. საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე გ. მეტრეველი, საქობოს „7 ნოემბრის“ სახ. კოლმეურნეობის ყოფ. თავმჯდომარე ნ. ჯავაშვილი, სიღნაღის დამცველთა კოლექტივის ყოფილი ხელმძღვანელი ა. კობეშავიძე, ბოდბისხევის ამხანაგ სტალინის სახ. კოლმეურნეობის ყოფილი თავმჯდომარე ფ. ყაჯრიშვილი და რაიონის სახალხო სასამართლოს ყოფ. მოსამართლე ვ. მახოშვილი.

მოსამართლე ამხ. ისაკაძე ეკითხება ბრალდებულებს, სცნობენ თუ არა თავს დამნაშავედ საქ. სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 58-8, 58-9 და 58-11 მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულში? ყველა ბრალდებულმა თავი დამნაშავედ სცნო.

მემარჯვენე კონტრრევოლუციურ, ტერორისტულ - დივერსიულ მავნებელი ორგანიზაციის წევრებმა აჩვენეს, რომ, იყვნენ რა მემარჯვენეთა კონტრრევოლუციურ ტერორისტულ ორგანიზაციის წევრები, ანხორციელებდნენ მავნებლურ მუშაობას მემარჯვენეთა კონტრრევოლუციური ორგანიზაციის საქართველოს ცენტრის პირდაპირი მითითებით, თავის ამოცანად სახავდნენ საბჭოთა ხელისუფლების დამხობას და კაპიტალიზმის რესტავრაციას — შეიარაღებული აჯანყების მოწყობით, შეამბოხეთა რაზმების შექმნით, რაიონის სახალხო მეურნეობაში დივერსიული და მავნებლური აქტების განხორციელებით, კოლმეურნეობათა დაშლით და საკ. კ. პ. (ბ) და საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკის მიმართ მშრომელთა შორის უკმაყოფილების ხელოვნურად შექმნით. აწარმოებდნენ მავნებლობას მეცხოველეობაში, მტს-ებში, შირაქის წყალსადენის მშენებლობისა, ხვნა-თესვისა და მოსავლის აღების საქმეში; განზრახული ჰქონდათ პარტიისა და ხელისუფლების ხელმძღვანელთა მიმართ ტერორისტული აქტების მოწყობა; თავიანთი მიზნის განხორციელებაში ეყრდნობოდნენ კულაკებს და საერთოდ უკმაყოფილო ელემენტებს.

პროცესის გადაცემა სწარმოებს რადიოთი — სიკვდილი სამშობლოს მოღალატეებს, დივერსანტებს, ჯაშუშებს, გამცემლებს, მავნებლებს!— ასეთია სიღნაღის რაიონის მშრომელთა ერთსულოვანი მოთხოვნა.

მოუმზადებლად ხვდებიან ახალ სასწავლო წელს

სიღნაღი, 26 აგვისტო (საქდესი). რაიონში ხალხის მტრების მავნებლური მუშაობის შედეგად მთელი რიგი სკოლები მოუმზადებელი ხვდებიან ახალ სასწავლო წელს.

რაიონში 100-მდე სასკოლო ოთახი დღემდე შეუკეთებელია. სოფ. საქობოს არასრული საშუალო სკოლა (დირექტორი პაპუაშვილი) სოფ. ზ. მაჩხაანის დაწყებითი სკოლა (სოფ. საბჭოს თავ-რე ბეგიაშვილი) და სოფ. ვაქირის არასრული საშუალო სკოლა (გამგე ქსირაშვილი) სავსებით მოუმზადებელი ხვდება სასწავლო წელს. აღნიშნული სკოლის კედლები გამონგრეულია, ფანჯრების მინები ჩამტვრეულია, სკოლებს არ აქვთ მერხები, დაფები და რუკები. ზ. მაჩხაანის სკოლას არ ჰყავს დირექტორი და სხვ. ასეთსავე მდგომარეობაში არიან სოფ. ძველი ანაგის და ჯუგაანის დაწყებითი სკოლები. ამ სკოლებთან არ არის მოწყობილი კაბინეტები, და არ ჰყავთ პედკადრები.

სიღნაღის რაიონში სკოლის კადრების დაკომპლექტება უნდა დამთავრებულიყო 15 ივლისისათვის, მაგრამ განათლების განყოფილების ყოფილი გამგის თოფურიას მავნებლური მუშაობის შედეგად პედკადრები დღემდე არ არიან გაპიროვნებული სკოლებზე. რუსულ სკოლებს არ აქვთ სახელმძღვანელოები და დღემდე არავის უფიქრია ამ საქმის მოგვარებისათვის.

წელს უნდა დამთავრებულიყო სოფ. წითელ-წყაროს საშუალო სკოლის მშენებლობა, მაგრამ დღემდე სკოლის მშენებლობის მხოლოდ 12 პროცენტია შესრულებული.

კიდევ უარესი მდგომარეობაა ს. ანაგის არასრული საშუალო სკოლის მშენებლობის საქმეში. იგი წელს უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ დღემდე მხოლოდ მშენებლობის 8 პროცენტია შესრულებული.

ყველა ამ მდგომარეობის შედეგად, სიღნაღის რაიონში სწავლის პირველ სექტემბრიდან დაწყება შეუძლებელია.

ახალი სასწავლო წლის აღსანიშნავად

ორჯონიკიძის სახელობის რაიონის (თბილისი) ბავშვთა გამაჯანსაღებელი მოედანი ამთავრებს თავის მუშაობას. 2 ცვლაში მოედანმა მომსახურება გაუწია 500 ბავშვს. ისინი მოედანზე ღებულობდნენ საჭმელს, ეწეოდნენ შემოქმედებით მუშაობას. ზაფხულის განმავლობაში მოედანზე 60 ბავშვმა ჩააბარა ვოროშილოველი მსროლელის ნორმები. 120 ბავშვმა — იმშთ ნიშანზე და 30 ბავშვმა — იმსთ ნიშანზე. ორი ნორჩი ვოროშილოველი მსროლელი (შონია და ბაბაევა) შევიდა საქართველოს გუნდის შემადგენლობაში, რომელიც გაემგზავრა მოსკოვს ბავშვთა საკავშირო სასროლო შეჯიბრებაზე.

29 აგვისტოს მოედანი ახალი სასწავლო წლის აღსანიშნავად პიონერთა რაიონულ კლუბში (ლენინის ქ. 3) აწყობს ბალ-მასკარადს. 30 აგვისტოს იქვე ეწყობა მოედანზე მიმაგრებულ პიონერრაზმების შემოქმედებითი მუშაობის შედეგების დათვალიერება — ოლიმპიადა. 7 რაზმიდან ოლიმპიადაში მონაწილეობას მიიღებს 250-მდე ბავშვი.

(საქდესი).

პედაგოგთა ექსკურსიები

დაწყებითი და საშუალო სკოლების მუშაკთა კავშირის ცენტრალურმა გამგეობამ განათლების მუშაკთა სახლთან ერთად მიმდინარე წელს პირველად ხელი მოჰკიდა პედაგოგთა მასობრივი ექსკურსიების მოწყობას.

მოსკოვსა და ლენინგრადში გაგზავნილი იქნა მასწავლებელთა ათი ჯგუფი, სულ 250 კაცამდე. მათ უწინარეს ყოვლისა ინახულეს სოციალისტური მშენებლობის გრანდიოზული ობიექტი მოსკოვ - ვოლგის არხი.

ცხრა ჯგუფი (200 კაცამდე) გაემგზავრა სოხუმსა, ფსირცხსა, ბათომსა, ორჯონიკიძესა და საგურამოში, სადაც ცხოვრობდა და ჰქმნიდა თავის ნაწარმოებებს დიდი ქართველი პოეტი ი. ჭავჭავაძე.

განათლების მუშაკთა სახლთან მოწყობილმა საექსკურსიო ბაზამ გაატარა 1000-მდე პედაგოგი ერთეული ექსკურსანტი საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხიდან, მათ შორის ვლადივოსტოკიდან.

გარდა ამისა, მომსახურებას უწევდნენ ექსკურსანტთა ჯგუფებს საქართველოდან და მეზობელ რესპუბლიკებიდან 300 კაცამდე. ამდენივე ექსკურსანტი გროზნოდან, მოსკოვიდან, ლენინგრადიდან, ორჯონიკიძიდან, როსტოვიდან და სხვა ქალაქებიდან.

დაიხურა ილიასადმი მიძღვნილი გამოფენა

ამ დღეებში საქართველოს საბჭოთა მხატვრების სურათების გალერეაში დაიხურა გამოჩენილი ქართველი კლასიკოსის ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო გამოფენა, რომელმაც ორთვენახევარს გასტანა.

გამოფენა დიდი წარმატებით სარგებლობდა, იგი დაათვალიერა 27.000 კაცმა და 160 ორგანიზებულმა ექსკურსიამ, როგორც თბილისის წარმოება - დაწესებულებებიდან, ისე საქართველოს რაიონებიდან და მოძმე რესპუბლიკებიდან.

გამოფენის ექსპონატები გადაეცემა მთაწმინდის მწერალთა მუზეუმს.

ბავშვთა საგუნდო კაპელა

საქართველოში საგუნდო ორგანიზაციებმა და ანსამბლებმა განვითარების მაღალ დონეს მიაღწიეს. ამას ბრწყინვალედ ადასტურებს ის მაღალი შეფასება, რაც საქართველოს საგუნდო ხელოვნებამ მიიღო მოსკოვში ქართული მუსიკის დეკადის დროს. ამ ხელოვნებას მიეცემა ყველა პირობა კიდევ უფრო სრულყოფისა და ზრდისათვის.

ამ მიზნით ხელოვნების საქმეთა სამმართველომ განიზრახა მოაწყოს ბავშვთა საგუნდო კაპელა 100 ბავშვის შემადგენლობით და აგრეთვე მოაწყოს მასთან მეჩონგურეთა საბავშო ანსამბლი 50 კაცის შემადგენლობით. (საქდესი).

ბიუროკრატიზმისა და კანცელარშჩინის ჭაობში

1937-38 სასწავლო წლისათვის საქართველოს ქალაქებში შენდება 12 სასკოლო შენობა 7.080 მოწაფისათვის. გეგმით უნდა აშენებულიყო აგრეთვე 13 შენობა საბავშვო ბაღებისათვის, მაგრამ ფაქტიურად წელს საბავშვო ბაღების 10 შენობის მშენებლობა იქნა დაწყებული. აქედან მარტო თბილისში შენდება 5 სასკოლო და 5 საბავშვო ბაღის შენობა.

რა მდგომარეობაშია მათი მშენებლობის საქმე? როგორი ტემპით მიმდინარეობს მშენებლობა? ადგილებზე შემოწმების შედეგად გამოირკვა, რომ არც ერთი სასკოლო შენობის მშენებლობის დამთავრება ვადაზე არ მოხდა, რაც შეეხება საბავშვო ბაღების შენობებს, აქ ლაპარაკიც ზედმეტია —მათი მშენებლობა თუ ძველი ტემპით წავიდა, ალბათ, ორი წელიწადი კიდევ დასჭირდება დამთავრებას.

სასკოლო შენობა, რომელიც თბილისში შაუმიანის ქუჩაზე შენდება, მთლიანად უნდა დამთავრებულიყო მიმდინარე წლის 20 აგვისტოსათვის. მაგრამ ამ დროისათვის ის მხოლოდ 96 პროცენტით იყო შესრულებული. მიასნიკოვის ქუჩაზე სასკოლო შენობა მზად უნდა ყოფილიყო 20 აგვისტოსათვის, მაგრამ ამ დროისთვის შესრულებული იყო მხოლოდ 89,8 პროცენტით. პლეხანოვის პროსპექტზე — მზად უნდა ყოფილიყო 25 აგვისტოსათვის, მზად იყო მხოლოდ 68,4 პროცენტით. ჭავჭავაძის ქუჩაზე — მზად უნდა ყოფილიყო პირველი ვადის მიხედვით 10 აგვისტოსათვის, ხოლო მეორე ვადის მიხედვით კი 25 აგვისტოსათვის. მაგრამ 20 აგვისტოსათვის მხოლოდ 89,7 პროცენტით იყო შესრულებული. ცხრა ძმის სახ. მოედანზე (ლენრაიონში) სასკოლო შენობა მზად უნდა ყოფილიყო 20 აგვისტოსათვის, სინამდვილეში ამ ვადაზე შესრულებული იყო 92,8 პროცენტით.

რაც შეეხება საბავშვო ბაღების მშენებლობის საქმეს, აქ მეტად სავალალო მდგომარეობაა. თბილისში მათი მშენებლობა მიმდინარეობს 4 და 37 პროცენტებს შორის.

რამ გამოიწვია მშენებლობის ასე დაბალი ტემპი? ვინ არის დამნაშავე ამაში? საქმე იმაშია, რომ არც ერთი მშენებლობა არ იყო თავის დროზე საამშენებლო მასალით მომარაგებული. ცემენტის, ხე-ტყის მასალის, პარკეტის, ლურსმნის უქონლობა ხშირად მთელი კვირის განმავლობაში აჩერებდა მუშაობას. „თბილმშენის“ ყოფილი მმართველი შენდერევი თავისი მავნებლური მუშაობით ცდილობდა ჩაეშალა სკოლების მშენებლობის საქმე. ის ხელოვნურად ქმნიდა ათასგვარ დაბრკოლებას საამშენებლო მასალების მიწოდებაში.

მავნებლებმა და დივერსანტებმა წყალკანალტრესტიდან სასკოლო მშენებლობის საქმეშიც იჩინეს თავი. ჭავჭავაძის ქუჩაზე სასკოლო მშენებლობა მთელი კვირის განმავლობაში შეჩერებული იყო უწყლობის გამო. თვით ეს სკოლა ისეთ ადგილზე შენდება, რომ იქ ადგილიც კი არ არის საამშენებლო მასალების დასაწყობად. რას ფიქრობდნენ ამ სკოლის შენობის პროექტის ავტორები — სკოლას ეზო ესაჭიროებოდა თუ არა?

მაგრამ ამ საქმეში დანაშაული მიუძღვის აგრეთვე განსახკომის სასკოლო მშენებლობის სამმართველოს (ყოფ. უფროსი კალანდაძე). ამ სამმართველოს მუშაკებისათვის რომ გეკითხათ, ყველაფერი რიგზე იყო, მათ ისიც კი არ იცოდნენ, რომ ჭავჭავაძის ქუჩაზე სასკოლო შენობის ერთერთი დეტალი ყოველგვარ პროექტის გარეშე აშენდა, ხოლო ამ დეტალის პროექტი სამუშაოთა მწარმოებელმა მხოლოდ 20 აგვისტოს მიიღო. ეს დაბნეულობა შემთხვევითი როდია სასკოლო მშენებლობის სამმართველოს მუშაკებისათვის. მათი მუშაობა გამოიხატებოდა იმაში, რომ ხანდახან „ხაზეინურად“ დაეთვალიერებინათ სკოლების მშენებლობა და შემდეგ კი „მოლწევებზე“ ახალახალი სტატისტიკური ცნობები შეედგინათ და „ინტერვიუ“ მიეცათ გაზეთების წარმომადგენლებისათვის. მაგრამ თუ გადავხედავთ მათ მიერ შედგენილ ცნობებს, აქაც ყველაფერი არეული. აი ფაქტებიც: 3 ივლისის ცნობების მიხედვით მიასნიკოვის ქუჩაზე სკოლის მშენებლობა გეგმის მიხედვით 96 პროცენტით იყო მზად, ათი დღის შემდეგ—10 აგვისტოს ცნობის მიხედვით—სკოლა, თუ დავუჯერებთ მათ, ისევ 96 პროცენტით იყო მზად.

ამავე 30 ივლისის ცნობის თანახმად შაუმიანის ქუჩაზე სკოლის მშენებლობა 95,3 პროცენტით იყო მზად, 10 აგვისტოსთვის კი მშენებლობა მხოლოდ 96 პროცენტამდე ასულა!

ასეთივე მდგომარეობაა გორის სკოლის მშენებლობაზე—30 ივლისისათვის მზად იყო 95,6 პროცენტით, შემდეგი ცნობით კი 10 აგვისტოსთვის 96 პროცენტამდე ასულა!

მათ „ცნობებში“ მეორე სახის დაბნეულობაცაა: თუ დავუჯერებთ მათ, უნდა ვიგულისხმოთ, რომ ზოგან მშენებლობა ქვედამავალი მრუდით მიმდინარეობდა. აი ფაქტებიც:

1) სოხუმის საბავშო ბაღის მშენებლობა მათი ცნობების თანახმად 20 ივლისისათვის 37,4 პროც. იყო შესრულებული, 30 ივლისისათვის ისევ 37,4 პროცენტით, ხოლო 10 აგვისტოსთვის კი „დაუკლია“ და 97 პროცენტზე ჩამოსულა.

2) თბილისში გერმანელების ქუჩაზე საბავშო ბაღის შენობა 10 ივნისის ცნობებით 5,0 პროცენტით იყო მზად, ხოლო 20, 30 ივლისის და 10 აგვისტოს ცნობებში 4,5 პროც. არის აღნიშნული.

3) ბათუმში სკოლის მშენებლობა 20 ივლისის ცნობების თანახმად მზად იყო 81,9 პროცენტით, 30 ივლისის ცნობებით კი 76,8 პროცენტით. თუ დავუჯერებთ ამ უცნაურ სტატისტიკოსებს, უნდა ვიგულისხმოთ, რომ 20 ივლისისათვის თუ კი ბათუმელები სკოლის მშენებლობას 81,9 პროცენტამდე აიყვანდნენ, 30 ივლისამდე აშენებული კედლები უნდა დაენგრიათ იმ ანგარიშით, რომ დაეყვანათ 76,8 პროცენტზე.—აი, „ჭკუის კოლოფები“!

4) თბილისში ტრამვაის პარკის საბავშო ბაღი 20 ივლისის ცნობებით მზად იყო 30,4 პროცენტით, 30 ივლისისათვის იგივე 30,4 პროცენტით იყო აღნიშნული, ხოლო 10 აგვისტოსათვის „ცნობები“ 30 პროცენტს გვიჩვენებს.

განა ამაზე მეტი დაბნეულობა კიდევ შეიძლება?! ეს „ცნობები“ ნათლად მოწმობს, რომ განათლების სახალხო კომისარიატის სასკოლო მშენებლობის სამმართველოს მუშაკები ჩაფლული არიან კანცელარულ-ბიუროკრატულ ხელმძღვანელობის ჭაობში. შეიძლება უფრო მეტიც—ამ აღმაშფოთებელი ფაქტების უკან მავნებლები ხომ არ დგანან?

ი. ნ—ლი

პ/მგ. რედაქტორი გრ. ხოსელია

რედაქციის მისამართი: თბილისი, ფურცელაძის ქ. № 3, ტელ. № 3—67—47.

სილ. თოდრიას სახ. გაზ. „კომუნისტი“-ს სტამბა, ვაჟ. 3 ქ. № 68,

მთავლიტის რწმუნებული 31532.